№ 354. სამშაბათი, 28 ოქტომბერი. 1896—1897 სამშაბათი, 28 ოქტომბერი, **№ 354.**

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვე-
ედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე
ადამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გ
საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ელ-მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს
ირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება
ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზე 10 კაპ
მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 30 ოქტომბერს,
ქართულ დრამატიული დასი გამართავს საიუბილეო ბენეფისს სუფლიორის **ნ. გალუსტოვისა**
წარმოდგენილი იქნება
პირველად ახალი პიესა

საშინელი შურის-ძიება

ფარსი 4 მოქმედ. თარგ. ნ. გალუსტოვისა
დასასრულ
დივერტისმენტი და ლეკური

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ჩერქეზიშვილისა, გარგარელისა, გა-ელისა, რიონელი, რჩეულოვისა; ბ.ბ. აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, სვი-ონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი კ. მესხი



Торговый домъ
С. П. Павловъ.
Тиф. Лорисъ-Меликовская № 6
Телефонъ 349.

Торговый домъ
С. П. Павловъ.
Тиф. Лорисъ-Меликовская № 6
Тлеофнъ 849.

სავაჭრო სახლი
ს. პ. პავლოვი და კ.
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო
საკერავი მაშინები
ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 **მანეთამდე,**
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს **სამის წლით** თავდებად ვუდგებით.
ფასის შემოტანა შეიძლება **ნაწილ-ნაწილად.**
(100—86 წ.)

დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში
მ. ლალიძის გამოცემული
ახალი თხზულება-პოემა **აკაკისა**
ნათელა
(ძველებური ამბავი)
წიგნი დაბეჭდილია მშვენიერს ქაღალდზე, შეიცავს 72 გვერდს.
ფასი თითო აბაზი.
ვინც ას წიგნს ერთათ ნაღდ ფულზე იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, დაეთმობა 20%. მსურველთ ფასს დადებითაც გაეგზავნებათ. (50—43)

გამოვიდა და ისყიდება
წ. კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიებში
გლეხი-კაცის ისტორია
ერკმან შატრიანისა
თარგმანი ფრანგულით **ივ. მაჭავარიანისა**
ფასი სამი აბაზი
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური
წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივად დაეთმობათ.
იქვე ისყიდება 3 მოქმ. დრამა პოლ ერვიესი
„ბრჭყალები“
თარგმანი ივ. მაჭავარიანისა
ფასი 30 კაპ. (25)

ხე-ტყის ქარხანა და შეშის საწყობი
თავ. ნიკოლოზ ევსტატეს ძე თარხნიშვილისა
ტფილისი, ვერაზე, ოლღის ქ., მაკაროვის მამულში
იყიდება ყოველ-გვარი ხე-ტყის მასალა, შეშა მუხისა, რცხილისა, წიფლისა, ფიჭვისა და სხვა, ქვა-ნახშირი და ჩვეულებრივი ნახშირი, ქერი.
ფასი ყველაფერზე იაფი და ყველასათვის ხელ-მისაწვდომი.
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ и ДРОВЯНОЙ СКЛАДЪ
Кн. Николая Евст. Тархан-Моуравова
Тифлисъ на Верѣ, Ольгинская улица, имѣніе Макарова (противъ Кирпичной улицы)
ПРОДАЮТСЯ:
Разные строительные матеріялы. Каменный и древесн. уголь
Дрова: грабовыя, дубовыя, чинаровыя и пр. породъ. Ячмень.
Цѣны на всѣ предметы общедоступны.
Ручательство и гарантія (30—20)

დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი (სოხუმის ოლქში)
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.
❖❖❖❖ ფასი მასალებისა მეტად იაფია ❖❖❖❖
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩამჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе,* ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. (300—227)

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
ნ. დიდებულიძისა
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ანდერსენის სახ. № 100.
ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფეებიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონზე)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

ПАНСІОНЪ И УЧИЛИЩЕ
Учительницы
Н. ДИДЕБУЛИДЗЕ
Тифлисъ, Михайловок. ул. № 100.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержаніемъ для учениц гимназіи. Обученіе музыкѣ.
(150–17)

ყმაწვილი კაცი,
რომელსაც კომერციო კურსები დაუმთავრებია, ეძებს **ბუღალტერის** თანამდებობას
მოიკითხონ: ქ. ოზურგეთში გრიგოლ ჯინჭარაძესთან.
(4—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა.
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.
ც. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ექიმი ქალი რუდენკო $10\frac{1}{2}$—$11\frac{1}{2}$ ს. ბავშვებისა და ქალების ავადმყოფ. და ყურის ყვავილს.
ფ. ი. ბაბანასიანცი. დილის $11\frac{1}{2}$—12 საათ. ქალთა ავადმყოფობათ.
ი. ფ. პროტასევიჩი 12—1 საათ. ყურების, ცხვირის, ყელის და გულის ტკივილებით.
ა. ფ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
ა. გ. გურკო. დღით $1\frac{1}{2}$—$2\frac{1}{2}$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობით.
საღამოობით
ა. მ. პუდინოვი. 5—6 საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფ.
ბ. ა. ნავასარდიანცი 6—$6\frac{1}{2}$ ს.
ა. ნ. შჰაკოვსკი 6—7 საათ. ნერვების, ვენერიულ და ზედაკანის ავად.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერატიებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ბერრატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“ რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.

26 ოქტომბერი

პეტერბურღი. ხელმწიფე იმპერატორმა დანიშნა ვაჭრობისა და მრეწველობის რჩევის წევრი თავადი ვიაჩესლავ ტენიშევი რუსეთის განყოფილების მთავარ კომისრად 1900 წლის პარიზის მსოფლიო გამოფენაზე.

სტამბოლი. ზავის კონფერენციის სხდომაზე პირობის რამოდენიმე

ისეთს მუხლზე შეთანხმდნენ, რომელნიც აქნობამდე ვერ გადაეწყვიტათ. ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდნენ მესამე მუხლის და დაზარალებულბულ კერძო პირთა დაკმაყოფილების შესახებ. საბერძნეთის წარმომადგენელნი თხოულობენ, რომ ზღვაოსნობას ხელი არ შეუშალონ, რადგან ეგ ეწინააღმდეგება პირობის მეშვიდე მუხლსაო. გარეშე საქმეთა მინისტრიც თანახმაა ამ თხოვნისა. ხმები, ვითომ მოსამზღვრე კომისსიას ნეზეროსი ოსმალეთისათვის გადაეცეს, ტყუილია: უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ეგ ადგილი ისევ საბერძნეთს დარჩეს.

ლონდონი. «ტაიმს»-ს ატყობინებენ სტამბოლიდამ დეპეშით, რომ მინისტრთა მოხსენებაში, რომელიც ხონთქარს მიართვეს, მოწონებულია ფინანსთა სამმართველოს წეს-რიგის შეცვლა, რომელიც თვით ხონთქარის ბრძანებით მოხდა. მინისტრნი იმ აზრის არიან, რომ ამ წეს-რიგის შეცვლაში მონაწილეობა უნდა მიიღონ საფრანგეთისა და ინგლისის „Dette publique“-ის სამმართველოს წარმომადგენელთა და ოსმალეთის ბანკის დირექტორმაო.

„რეიტერის სააგენტოს“ შეუტყვია, რომ ხმები საბერძნეთის სესხის თავდებობისა, რუსეთისა, საფრანგეთისა და ინგლისის მხრივ ჯერ ადრეულად უნდა ჩაითვალოს, რადგან ჯერ არავითარი შეთანხმება არ მომხდარა დიდ სახელმწიფოთა შორის ამ საქმის გამო.

რიო-დე-ჟანეირო. ჯარის კაცმა ესროლა პრეზიდენტს მორესს; იქვე მყოფთ ხელი შეუშალეს ბოროტ მომქმედს; მინისტრი ბიტანკური შუბით მოჰკლეს, ხოლო პრეზიდენტის ძმის წული პოლკოვნიკი მორესი მსუბუქად დასჭრეს,

ახალი ამბავი

⁂ **თ. გ. ი. გ. ჭავჭავაძის იუბილეის გამო.** კომიტეტი, რომელსაც დავალებული ჰქონდა პროგრამა გამოეკვლია საიუბილეო დღესასწაულისა ბეჯითად მუშაობს ამ საგანზე და კვირას 2 ნოემბერს შეჰყრის საზოგადოებას, რომელსაც მოიხსენებს შემუშავებულ პროგრამას და იმავე დღეს გადაწყდება სადღესასწაულო დღეც.

⁂ **წერილები ქართველ კათოლიკებზე.** გუშინდელ გაზ. „კავკაზში“ № 284 დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ბ-ნი იზაშვილისა შესახებ ქართველ კათოლიკებზე. წერილი ჯერ დამთავრებული არ არის და შეეხება ამ ჩვენი ერისათვის საჭირბოროტო კითხვის განმარტებას.

⁂ ქართველ ქალებს კვირას, კრება ჰქონდათ სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, სადაც მოილაპარაკეს, თუ როგორ ეშველოთ იმ გარემოებას, რომ მთავრობისაგან ალეგრის გამართვა აღკრძალულია და ალეგრის შემოსავალი კი უმთავრესი წყარო იყო „წერაკითხვ. გამავრ. საზოგადოებისთვისაო.“ ხანგრძლივი თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს, რადგან ალეგრის გამართვა არ შეიძლება ახალის განკარგულებით, გამართოთ ეგრედ წოდებული „ბაზარი“ (საჯარო ვაჭრობა ბაღში სეირნობით და გასართობებით), მისთვის ყველამ უნდა ვიმეცადინოთ, რაც შეიძლება მეტი ხელ საქმობა და ნივთები მივაწოდოთ იმ კომიტეტს, რომელიც ამ საქმისთვის იქნება არჩეულიო. ბოლოს ამოირჩეს წევრები კომიტეტისა, რომელსაც დაავალეს ამ საქმისათვის შესაფერი პროგრამის შემუშავება და ახლო ხანში ხელმეორედ შეკრება საზოგადოებისა.

⁂ **ქადაგებები სამლოცველო სახლში.** წმ. თეოდორის სახელობაზე აგებული 28 სექტემბრიდან „კოლუჩი ბალკას“ სამლოცველო სახლში სემინარიის რექტორმა არხიმანდრიტმა მამა სერაფიმმა დაიწყო ქადაგებები იოანე ღვთისმეტყველის წირვის ასახსნელად. გუშინწინ 26 ოქტომბერს, საღამოს ლოცვის შემდეგ მამა სერაფიმმა განუმარტა ხალხს იოანე ღვთისმეტყველის წირვის მეორე ნაწილი. ქადაგებამ დიდძალი ხალხი მიიზიდა.

⁂ **ნოვოროსისკ-სოხუმის გზატკეცილის შეკეთების გამო.** დღეს გაემგზავრება სოხუმსა და ნოვოროსსიისკში დეისტ. სტ. სოვ. ინჟენერი ნოვომეისკი, რომელიც ბ. მთავარ მართებლის კანცელარიაში მსახურებს და ირიცხება კავკასიაში შენობებისა და გზების ტეხნიკად. ბ. ნოვომეისკის მინდობილი აქვს დაათვალიეროს, რა მდგომარეობაშია ნოვოროსსია-სოხუმის გზა-ტკეცილი.

⁂ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის წარმოების ანგარიში 1896 წლისა.** საანგარიშო წლის განმავლობაში 104,558 მატარებელს ჰქონია მიმოსვლა გზაზე, მათ შორის: სახალხო, სახალხო-საბარგე, არეული და სამხედრო 26,594, საბარგე და დანარჩენი 77,974, ორთქლით მავალებს გაუვლიათ სულ 9,208,987 ვერსი, მატარებლებს 6,732,369 ვერსი; ამ რიცხვიდამ სახალხო, სახალხო-საბარგე, არეულს და სამხედრო მატარებლებს 1,534,416, საბარგე და დანარჩენებს 5,197,950; ვაგონებს გაუვლიათ 229,718,158 ვერსი და ბორბლებს 172,754,465 ვერსი.

ყველა კლასებში წლის განმავლობაში 2,179,453 მოგზაური ყოფილა და გადუხდიათ 1,665,773 მანათი. შუათაგან ითოეულს მოგზაურს გადაუხდია 76 კაპ.; უფასოდ უმოგზავრნია 162,276 კაცს.

საქონელი დიდის სიჩქარის მატარებლით გადაუტანიათ 1,108,213 ფუთი, ხოლო ნაკლების სიჩქარის მატარებლით 152,163,303 ფუთი; ნაკლების სიჩქარით საქონლის გაგზავნისაგან შემოსვლიათ 16,194949 მან. 63 კაპ.

საერთო შემოსავალი წლის განმავლობაში ყოფილა 19.091,756 მან. 3 კაპ., ხოლო გასავალი 7.654,782 მან. 11 კაპ., ამ რიგად წმინდა მოგება დარჩენიათ 11.436,973 მ. 92 კაპ. (1895 წელს წმინდა მოგება ჰქონდა გზას 9.678,223 მ. 31 კ.).

რკინის გზის მმართველობას თავის სკოლების საჭიროებისათვის დაუხარჯავს საანგარიშო წელს 38,188 მან. 87 კაპ.; რკინის გზის ტელეგრაფის ანგარიშიდამ სჩანს, რომ წლის განმავლობაში 5.614,780 დეპეშა გაუგზავნიათ და მათ შორის მხოლოდ 183,000 კერძოა, დანარჩენი-კი სულ სამსახურის საქმეს შეეხებოდა.

⁂ **ავლაბრელი კავალრები.** არ ქუჩა არ არის ისრე უყურადღებოდ დატოვებული, როგორც „ლინეიკის“ ქუჩაა ავლაბარში. მთელი ქუჩა მასხარად აქვთ აგდებული იქაურ მაწანწალებთ, უსაქმურ ყომარბაზებს რომელნიც ახლა «კავალირობას» [illegible] სდგომიან. ყველასაგან ცხოვილი ავლაბრელი უსაქმური მაწანწალები რომლიდგანაც დღე და ღამ მოსვენება არა აქვთ იქაურ მკვიდრთ დ ახლაც ახალი რამ გამოუგონიათ: კავალრობა, რომლისაგან ლინეიკის ქუჩელებს მოსვენება აღარა აქვთ ყოველს საღამოობით მთელ ქუჩას აქსელ-ჩაქსელავენ ხოლმე; კვირა უქმეებში ხომ თქმა აღარ უნდა! მთელი დღე მათი ფეხი არ ჩაიხრება ერთ წუთს. მთელი ქუჩა, ისრე აქვს ხელში ჩაბღუჯული, რომ მანდილოსნებს გარეთ ვერ გამოუხედნიათ, თუ გამოვიდა ვინმე, იმნაირ უწმაწურის სიტყვებით შეურაცყოფა მიაყენებენ, რომ ნუ გაიგონებ, ყურო და თვალო!

ზემო ხსენებულთ მოარშიყე გუნდი შესდგება ორ პარტიით; პი ველი ავლაბარში ძველად-ცნობილ კინტო-ყომარბაზებისგან, რომელ თაც თავიანთი სიცოცხლე სუ საწინდარ და სამარცხვინო საქმ ებში აქვთ გატარებული და ახლ უნდათ, რომ სხვასაც ავნონ თავიანთის ველურის საქციელით. მეორე ახლად შემდგარს პრიკაშჩიკებისაგ და შიგაც ურევია რამდენიმე სკო ლის მოწაფეენიც, რომელნიც თავიანთ საქმეებს ივიწყებენ და გულ ყურს იმ ქარაფშუტა საქმეებს ანდომ ბენ. ამ ორ პარტიათა შორის დიდი უ მაყოფილება ჩამოვარდება ხოლ ხანდისხან და იძულებულნი არია ერთმანეთს შეეცილონ: არა ჩვენ

თეატრის მატიანე

ქართული თეატრი ქუთაისში.

პირველ ოქტომბერს 1829 წ., ვიქტორ ჰუგომ პირველად წაიკითხა théatre— français-ში თავის თხზულება «ერნანი». 25 თებერვალს 1880 წ. Comédie—française-ის არტისტებმა და მთელმა საფრანგეთის ლიტერატორებმა იდღესასწაულეს ერნანის 50 ჯერ წარმოდგენა სცენაზე, სადაც გამოჩენილმა საფრანგეთის არტისტ ქალმა სარა-ბერნარმა საუცხოვოდ წაიკითხა ამ დღესასწაულისათვის საგანგებოდ ფრანსუა კოპესაგან დაწერილი ლექსი.

განვლო მას შემდეგ სამოცდარვა წელმა და კვირას, 19 ოქტომბერს 1897 წ. ქუთ. ქართულ სცენას ეღირსა პირველად ამ პიესის წარმოდგენა. სანამ წარმოდგენის ანგარიშს შევუდგებოდე, მე მსურს გავაცნო მკითხველს ამ საუცხოვო პიესის შინაარსი. პირველი აქტი წარმოებს სარაგისში 1519 წ. ღამეა. სცენა წარმოადგენს საწოლ ოთახს. დონა ჟოზეფა დუარტს მოესმის ჩუმი ფეხის ხმა და კარებზე რაკუნი. ერნანი ჰგონია, კარებს გაუღებს და ერნანის მაგივრად-კი დონ-კარლოსი შემოვა და ჰკითხავს: განა ახლა მე დონა-სოლის, მოხუცი ჰერცოგის საცოლეს ოთახში არა ვარო? დონა-ჟოზეფა შეკრთება, მაგრამ რაღა ღონე აქვს, უნდა უთხრას და [illegible] კიდეც. დონ-კარლოსი ჟოზეფას ავალებს, ჩემი აქ-ყოფნა არავის არ უთხრაო და თვითონ კი დიდს უჯრაში იმალება: ამ დროს ერნანი შემოდის. დონა-სოლი მივარდება ერნანს ხელს გადახვევს და მიესაყვარლება. ერნანი ეტყვის, მე ერთი განდევნილი კაცი ვარო, სასტიკმა დონ-კარლოსის მამამ მოკლა მამა ჩემიო. მიყვარხარ დონა-სოლ, მაგრამ რა ვქნა, როცა ბედმა ტყეტყე ხეტიალი მ[illegible]უნაო! ორში ერთი უნდა ამოირჩიოს დონა-სოლმა ან მოხუცი ბიძა შეირთოს, ანა და განდევნილს უნდა გაჰყვეს. ხვალ, ხვალ წავიდეთ ჩემო დონა-სოლ, ეუბნება ერნანი და სწორედ ამ დროს გაიღება შკაფის კარი და დონ-კარლოსი გამოჩნდება. მანდ რას აკეთებდით? ეკითხება ერნანი. მე? უპასუხებს დონ-კარლოსი, დიახ, მე ცხენით ტყეში როდი დავხეტიალებ! და თან დასძენს, რომ მას უყვარს დონა-სოლ და ერნანს ხმალში გამოითხოვს. ის არის ხმლები გადაჯვარინდება თუ არა ამ დროს მოხუცი ჰერცოგი დესილვიც შემოვა: რას ნიშნავს ამ დროს ჩემი ძმისწულის ოთახში ხალხი? ხმალს იკრავს ხელს და ორივეს სასიკვდილოთ შეუტევს. დონ-კარლოსი უცბად მანთოს გადაიძრობს და, თურმე, ნუ იტყვით? თვით მეფე კი ბრძანებულა. დონ-კარლოსი აუხსნის დესილვიას, რომ ღამე ფარულად იმისთვის მოვედიო, რომ გერმანელთა იმპერატორი მოკვდაო და შენთვის რჩევა უნდა მეკითხაო. მოხუცი დესილვია იეჭვეულობს დონ-კარლოსის სიტყვებზე, მაგრამ მაინც თავაზიანად მოექცევა.

2 აქტი. სცენა წარმოადგენს მოხუცი რუი-გომე დე-სილვას სასახლის ეზოს. დონ-კარლოსი არ იშლის თავის განზრახვას, უნდა მოიტაცოს დონა-სოლ. იგი იახლებს რამდენიმე წარჩინებულს პირს, მოვა და აქ ამ სასახლის წინ გაჩერდება. დონა-სოლ უცდის ერნანს. დონ-კარლოსმა კარგად იცის მათი ნიშანი და ტაშს შემოჰკრავს. დონა-სოლ ჩამოირბენს ერნანი გონია და პირდაპირ მეფეს კი შეეფეთება. დონ-კარლოსი ხელს გადახვევს და სიყვარულს გამოუცხადებს. იბრძვის საწყალი დონა-სოლ, უნდა დაუსხლტეს ხელიდამ მეფეს და საშინლად შეჰკივლებს: «ერნანი, სადა ხარ მიშველეო“!— თუ შენ ყვირილს დაიწყებ—მე აქვე მყავს სამი კაცი ჩასაფრებულიო,—ეუბნება დონ-კარლოსი. უცბად ერნანი გამოჩნდება დონ-კარლოსის წინ. «სამი კაცი გაგახსენდათ, მაგრამ ერთი-კი დაგავიწყდათო, შეჰყვირებს ერნანი და ხმალში გამოთხოვს. დონ-კარლოსი მეფეა და არ გაჰყვება. ერნანი არ ეშვება. დონ-კარლოსი ზიზღით შეხედავს და ეტყვის: აბა ერთი მითხარი: ვინ იკადრებს ავაზაკთან ბრძოლას! ერნანი მთლად გაფითრებული ეუბნება მეფეს: «გახსოვდეს, რომ შენ ეხლა ჩემს ხელში ხარ... მაგრამ ერნანი როცა დამშვიდდება, მოხსნის მანტოს წამოასხამს მეფეს და გაისტუმრებს. ერნანი პატარა ხანს ესაყვარლება თავის გულის სატრფოს, მაგრამ აგერ მოესმის თავის ამხანაგების კვნესა-ყვირილი. ერთ გულ-საკლავს კოცნას დააჭდევს თავის საყვარელს შუბლზე და ხმალ-ამოღებული გაქანდება მათ დასაშველად.

მე-3-მე მოქმედებაში ავტორს შევყევართ მოხუცი დე-სილვას სასახლეში. ეს სასახლე სდგას არაგინის მთაზე. ჩვენ ვხედავთ საგვარეულოს დარბაზს—გალლერეიას, რომელიც მოფენილია მოხუცი ჰერცოგის წინაპრების სურათებით. დღეს ამ სასახლეში ქორწილია. მოხუცი სილვა ირთავს მშვენიერს დონა-სოლს: ამ დროს პაჟი შემოდის და მოახსენებს ჰერცოგს, რომ ერთი ვიღაც ღვთის-მოსავი მათხოვარი მოსდგომია კარებს და თავშესაფარ ბინას ითხოვსო, „შემოვიდეს“ უბრძანებს დე სილვა. ეს გახლავს ერნანი. ამხანაგები დაუხოცეს, იგი მარტო გადარჩა. მოხუცმა სილვამ ვერ იცნო ერნანი, მაგრამ ვინც უნდა იყვეს, მაინც ღვთის გამოგზავნილიაო და მიიღო. მაგრამ აგერ დონა-სოლი შემოდის საქორწილო ტან-საცმლით. ერნანი გულ-მოკლული ელდა ნაცემი მოიგლეჯს მანტოს და შეჰყვირებს: „ვინ არის აქ, ვის უნდა იშოვოს ათასი ოქრო, მე ერნანი ვარო!“ მოხუცი სილვა შეფიცებს ვინც უნდა იყვეო, თუ გინდ მართლა ერნანი, ოქროს მაგივრად, რომ მთელი სამეფო დამიმტკიცონ თუ გინდ თვით მეფესთან მომიხდეს ბრძოლაო, მე მაინც უნდა დაგიფარო, რადგან შენ სტუმარი,-ღვთის გამოგზავნილი ხარ ჩემ სახლშიო. ერნანი მარტო რჩება დონა-სოლთან და აი ეს ორი შეყვარებულნი ხელ გადახვევენ ერთმანეთს და დაიწყ ბენ ალერს თუ არა სილვა შემოეს წრება: ეს არის, ამით გადამიხად ჩემი სტუმართ-მოყვარეობაო? შეყ ვირებს მოხუცი დესილვა საშინლა გულ-მოსული და სწორედ ამ დრო რაღაც ხმაურობა მოისმის. ეს გახლავსთ მეფე. იგი მობრძანდება ერნანის დასაჭერად.

იმას უნდა ერნანი და თუ ერნანი არ გამოუჩინეს, მაშინ თვით სილვას ცუდი დღე დაადგება. მოხუცი სილვა მხნედ წინ აღუდგება ამ მუქარას. იგი გაიშვერს ხელს თავის წინაპართ სურათისაკენ, ჩამოთვლის თვითეულს მათ სიპატიოსნეს, მამულიშვილობას, სიმხნევეს და შემდეგ მიიდებს ხელს გულზე და მეფეს ეტყვის: «და მე უკანასკნელი ამათი ჩამომავალი ისეთი ლაჩარი უნდა გავხდე, რომ ჩემი სტუმრის თავი გავყიდოვო! თუ მეფეს სურს ვისმეს თავი, აგერა ჩემი თავი ინებეო“ დონ-კარლოსი თავისას არ იშლის და გაშმაგებული ეუბნება: მომეცი ერნანი, თორემ დონა სოლს წავიყვანო. მოხუცი სილვა არ შედრკება. „Prends-la done et lousse moi l'honneur! წაიყვანე, მე ჩემს პატიოსნებას არავის შევაბღალვინებო, შეჰყვირებს იგი; დონ-კარლოსიც წაიყვანს დონა-სოლს. როცა მოხუცი სილვა მარტო დარჩება გამოიხმობს ერნანს და მოკვლას უპირებს. ერნანი წინააღმდეგობას არ გაუწევს, მხოლოდ ემუდარება ერთხელ კიდევ უკანასკნელად მაჩვენე

საკუთრებაა ეს ქუჩა და არა ჩვენიო, თქვენ აქ ხელი არა გაქვთ, რომ „კავალერობთო“, ერთმანეთს ეუბნებიან.

ვგონებთ, რომ გასართობი რამ იყოს, მაშინ არც მაგრეთი ამბები იქნებოდა. მთელ ავლაბარში ერთი სამკითხველო არა აქვთ, რომ იქ გაატარონ თავისუფალი დრო. ბევრჯელ აქვთ ნათხოვნი მთელ ავლაბარს, რომ ერთი სამკითხველოს ღირსი გაგვხადეთო, მაგრამ ყურიც არავინ გაიბერტყა.

ამ ცოტა ხნის ავლაბრელმა ახალგაზდა სცენის მოყვარეებმა მიაქციეს ყურადღება ამ გარამოებას და ნება მოითხოვეს სახალხო წარმოდგენების მართვისა, რითაც ხალხი ცოტათი მაინც მოიშლიან თავისუფალ ნავარდობას, მაგრამ იმათაც სურვილი ვერ განუხორციელდათ საქმე როგორღაც დაბრკოლდა. კარგი იქმნება სცენის მოყვარეთ ნება დართავდნენ წარმოდგენის გამართვისას. ამით სრულებით გახრწნილებაში ჩაფლულს ავლაბრელებს იქმნება რამე ეშველოსთ. იმედია, რომ პოლიცია ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ გვარ საქციელებს და ნამეტნავად, ახლად შემდგარ ზემოხსენებულს «კავალრების» ბუნაგს მოშლიდეს, თორემ მთელ უბანს გარყვნიან და უბედურ გზაზედ დააყენებენ.

ივ. მჭედ—შვილი.

⁂ **სოჩა** (აფხაზეთი). **სკოლის კურთხევა.** 22 ოქტომბერს სოჩაში აკურთხეს ორ-კლასიანი სასწავლებელი. კურთხევას დაესწრო დიდძალი საზოგადოება: ოლქის უფროსი პოდპოლკოვნიკი გლაგოლევი, ნაწილის უფროსი დუბავიკი, დეპუტატები: არეშეივი, ტროპოვი, ხოშტარია და ბოკუჩავა, აგრეთვე მოვაჭრენი და მცხოვრებლები. სკოლაში გამართული იყო საუზმე, რომელზედაც მიწვეულ იქმნა ყველა ზემოხსენებული პირები. პირველად ოლქის უფროსმა აიღო ჭიქა და ადღეგრძელა ხელმწიფე იმპერატორი და წარმოსთქვა მგრძნობიარე სიტყვა. საზოგადოებამ ურას ძახილით და მრავალჟამიერით მიუგო. შემდეგ დალიეს სადღეგრძელო ჩერნომორიის გუბერნატორისა და დეპეშაც გაუგზავნეს. მერე ადღეგრძელეს სამოსწავლო ოლქის უფროსი ინსპექტორი, მასწავლებლები და შაგირდები. საუზმემ გასტანა პირველ საათიდან ხუთ საათამდე.

იმ დღესვე მიღებულ იქმნა შეგირდებად ოც-და-სამი კაცი, მათ შორის ცხრა ქართველია. სწავლა დაიწყება 23 ოქტომბერს.

ვუსურვებთ ჩვენს ახალს სასწავლებელს ყოველსავე სიკეთეს და განსაკუთრებით ჩვენებურ ბავშვების აღზრდას.

დავით პარკაია.

⁂ **ს. გომი** (გურია.) **სად უნდა იყოს სამრევლო სკოლა?** კითხვა ეს არის და პასუხად-კი ამას მოგახსენებთ: ს. გომში, კარისყურის წმიდა გიორგის ეკლესიასთან. უეჭველია, მიექცევა ყურადღება ამ საგანს, თუ სამრევლო სკოლა დაარსდება, როგორც ამბობენ, უეჭველად ს. გომში უნდა დაარსდეს და არა გონების კარის ეკლესიასთან. აქ უმთავრესი საბუთი ის არის, რომ ს. გომი არის აჭარის საზღვარზე და ს. შემოქმედის ორ-კლასიან სამინისტრო სკოლას ათი ვერსითა შორავს. ზემოდ აღნიშნულ გონების-კარის ეკლესიიდან-კი შემოქმედის სკოლამდე სულ არ იქმნება ვერსი ანუ ცოტა მეტი, და ნუ თუ ბავშვი, რომელიც გამოივლის სოფ. გომიდან ცხრა-ათ ვერსსა, გონების კარის ეკლესიამდე ერთს ვერსსაც ვერ გაივლის? ასე ადვილად გადასაწყვეტი არ არის ეს გარემოება. ამავ თავითვე აწონ-დაწონვაა საჭირო, რომ მერე სანანურად არ დარჩეს საქმე.

გ.

⁂ **პეტროვსკი. ჩარჩ გაჭრების ცემა-ტყეპა.** ს. თორყალოში ღამით მებაღე ლეკებმა ხანჯლებით აკუწეს ორი გროზნელი ღვინის ვაჭრები— ტომით სომხები, ერთმა ჭრილობას ველარ გაუძლო და ორ საათში სული განუტევა, მეორე-კი დღესაც გროზნის საავადმყოფოში წევს.

პეტროვსკაში ძალზე მიბერტყეს არმავირელი ღვინის მოვაჭრე ადამიანცი. საბრალოსთვის ისე ეცემათ, რომ ოთხ-ხუთ დღეს აქაური ნომრებში იწვა და ძლივს მოიდგა სული.

გიგო თოიძე.

რედაქციისაგან

—

ფოთში. იაკ. მაჭრაძეს. წესი და რიგი მოითხოვს თქვენის წერილით იქ მიმართოთ, სადაც თქვენზე იყო დაწერილი. თუ თქვენს სავაჭროზე ტყუილი იყო დაწერილი გაზეთში, იმავე გაზეთის რედაქცია შეასწორებს, ჩვენ კი ამ საქმეში არავითარი მონაწილეობა არა გვაქვს.

იძვი. ქონდრის კაცს. თქვენი წერილი დაიბეჭდება სიამოვნებით, თუ კი ნება დაგვრთეს.

მარტვილში. მარტვილელს. თქვენი წერილი მარტვილის ტაძრის შესახებ თავის დროზედ დაიბეჭდება, ხოლო ბიბლიოტეკის შესახებ საკმარისია რაც დაიწერა— სიმართლე უკვე გამორკვეულია.

ხუჯიენაში. მელიტ. იოსელიანს. რა თქმა უნდა, წყალვარდნილი ანუ ჩანჩქერი თუ ჩახრიალას საშუალებით ძრიელ ადვილია ელექტრონის მანქანის მომართვა ელექტრონის სინათლის მოსაცემად და საზღვარ გარედ და ზოგან რუსეთშიაც ელექტრონის სინათლეს მხოლოდ ჩანჩქერითღა აწარმოებენ, რადგან შედარებით ერთი ათად უფრო იაფად ჯდება. რაც შეეხება დაბა-ქალაქების განათებას ელექტრონით ჩანჩქერის საშუალებით ეგ იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სიმაღლიდან ვარდება წყალი და რაოდენის ძალით, რომ ეგრედ წოდებული „ტურბინების“ მოძრაობა შეეძლოს, ხოლო რაც შეეხება ჩენჩქერის სიშორეს ამა თუ იმ ადგილიდან ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან სინათლე ელექტრონისა მავთულებით გაჰყავთ ხოლმე სხვა და სხვა ადგილებში. წყალვარდნილის საშუალებით ელექტრონის სინათლეს გამართვას თავ. გ. დ. წერეთელიც აპირებდა ამ ორიოდე წლის წინად საჩხერეში.

მონპელიეში. ლეხურელს. თქვენი თხოვნა შევასრულეთ: გადავეცით სადაც ჯერ იყო. წერილები მეურნეობაზე დაიბეჭდება. ნუ დაგვივიწყებთ.

თეატრის მატიანე

ქართული წარმოდგენა.

კვირას ქართულმა დრამ. დასმა წარმოადგინა ფრანგული 5 მოქმედ. მელოდრამა «გაძარცული ფოსტა», თარგმანი ვ. აბაშიძისა.

ამგვარი პიესები ჩვენს ხალხს ძლიერ მოსწონს, მეტადრე მდაბიო ხალხს, რაიც აშკარად დამტკიცდა გუშინ-წინ: თეატრი თითქმის სავსე იყო, განსაკუთრებით იაფ-ფასიანი ადგილები.

პიესის შინაარსი, როგორც საზოგადოდ ყოველის მელოდრამისა, თითქმის ზღაპრულია და შეეხება უმთავრესად საფრანგეთში კარგად ცნობილ «ლეზურკის საქმეს», რომელშიაც გარეული იყო სრულებით უდანაშაულო და პატიოსანი კაცი ცოლ-შვილის პატრონი ჟოზეფ ლეზურკი მხოლოდ იმიტომ, რომ იგი საოცრად ჰგავდა გარეგნობით ცნობილს ყაჩაღს და ავაზაკს დიუბოსკს. მთელი პიესა იმაზე არის აშენებული, რომ დიუბოსკის მაგივრად მართლმსაჯულება მხოლოდ გარეგნულის მსგავსების გამო ხელს ჩასჭიდებს ზემოდხსენებულს ლეზურკს და სიკვდილით დასჯას გადუწყვეტავს. ხოლო უკანასკნელს წუთში ნამდვილს ყაჩაღს დიუბოსკს შეიპყრობენ და ეს უცაბედი შემთხვევა აცდენს საბრალო ლეზურკს ჯალათის ნაჯახს. რა თქმა უნდა, პიესა შესაფერის, ხშირად დაუჯერებელის სცენებით არის ალსავსე, რაც ძლიერ მოქმედებს მაყურებელზე და კვირა საღამოსაც ბევრი დედაკაცი და მამაკაციც ამღუღრდა ზოგიერთ გულსაკლავ სცენების ხილვით. ერთს ახალგაზდა ქალს გულიც შეუწუხდა უკანასკნელ სცენის დანახვაზე...

რაც შეეხება მსახიობთა თამაშობას, ჩვენ მეტს მოველოდით: როლების ცოდნაში ძლიერ კოჭლობდნენ და სწორედ ისინი, რომელთაც სრულებით არ მიეტევებათ როლის უცოდინარობა.

ამგვარ პიესებში მოთამაშეთ მხოლოდ როლის ცოდნა-ღა მოეთხოვება; სხვა-და-სხვა რთული გრძნობის თუ ხასიათის განმარტება არც-კია საჭირო, რადგან საიმისო არაფერია თვით პიესაში. საკმარისია მსახიობმა როლი კარგად იცოდეს, შესაფერად იმოძრაოს სცენაზე, გარეგნული ხელოვნება გამოიჩინოს და სხვა-კი თვითონ პიესის მელოდრამულ მდგომარეობაზეა დამოკიდებული, რომელიც თითქმის თავის-თავად იქონიებს მაყურებელზე შესაფერს ზედგავლენას...

დონა-სოლიო და მერე კი მომკალიო. სილვა ეტყვის, იგი მეფემ წაიყვანაო. Vieillard stupide! il l'aime! აჰ სულელო მოხუცო, განა არ იცი, რომ იმას უყვარს დონა-სოლი! შეყვირებს ერნანი. მოხუცი სილვა ეხლა ყველაფერს მიხვდება და აქ ჰერცოგი დესილვა და გავარდნილი ყაჩაღი შეერთდებიან, რომ მეფეს შური უგონ. ერნანი დესილვას სიტყვას აძლევს, როგორც დონა-სოლს დავიხსნით, მერე ჩემი თავი შენ გეკუთვნისო. აი ეს ბუკი წაიღეო, ეუბნება ერნანი, და სადაც უნდა იყოს, ან როცა კი მოინდომებ ჩემს სიკვდილს, მობძანდი, დაუკარი ეს ბუკი და მე მკვდარი ვიქნებიო. 4 მოქმედება წარმოადგენს კარლომანის საფლავს. დონ-კარლოსი ელის ამბავს, თუ ვის ამოირჩევენ გერმანელთა იმპერატორად. დონ-კარლოსმა იცის, რომ შეთქმულნი აქ იმალებიან იმის მოსაკლავად. იგი აქ ამ საფლავის წინ დაიჩოქებს და ამბობს იმ შესანიშნავს მონოლოგს, რომელსაც საფრანგეთის გამოჩენილის არტისტის მიუნეს პირით არა ერთხელ აუღელვებია საზოგადოება, ეს ის მონოლოგია, რომელიც ჩვენმა თანა-მემამულემ თავ. ალექსანდრე სუმბათიშვილმა (სცენაზე იუჟინმა) ისეთი გრძნობით წარმოსთქვა (პარიზში ოდეონის თეატრში), რომ განსვენებულმა საფრანგეთის პრეზიდენტმა სადი-კარნომ საპატიო ლეგიონის ორდენი უბოძა.

დიახ, ასეთი გახლავს ეს მონოლოგი და შეიძლება იკითხოთ, თუ ვინ წარმოსთქვა ქუთაისის სცენაზე ეს მონოლოგი? ეჰ, გახლავს! ეგ რეჟისორს ბატ. ალექსი-მესხიშვილს კითხეთ და ის მოგახსენებს. ჩვენ ამ როლის თამაშზე ამის მეტი არა გვეთქმის რა და არც არას ვიტყვით. გაათავებს მონოლოგს თუ, არა შეთქმულნიც გამოჩდებიან. შეთქმულნი ყრიან წილს, თუ ვინ მოკლას დონ კარლოსი. წილი ერნანს შეჰხვდება. მოხუცი სილვა, ეხვეწება ოღონდ ეგ შენი უფლება მე დამითმეო და სამაგიეროდ სიცოცხლესაც გაჩუქებ და დონა-სოლიც შენი იქმნებაო.

ერნანი არ თანხდება. მოხუცი დესილვა სწყევლის ერნანს, რომ ეგ სიამოვნება მომაკლეო. ამ დროს მოისმის ზარბაზნის ხმა და ეგ ხმა ატყობინებს დონ-კარლოს, რომ გერმანელთა იმპერატორათ შენ აგირჩიესო. შეთქმულთ გარს ჯარი შემოეხვევა. „დაიჭირეთ ყველანი ვინც გრაფი ჰერცოგიაო!“ გაისმის იმპერატორის დონ კარლოსის ხმა მაშ ერნანი განთავისუფლებულა? მაგრამ ერნანი ხმა მაღლა დაიძახებს მე ვარ ჟან-დარაგონი, სეგორბის ჰერცოგი, განდევნილი შვილი იმ კაცისა, რომელიც მოკლა დონ-კარლოსის მამამ. დონ-კარლოსი აპატიებს ერნანს და აძლევს მას დონა-სოლას. მაშ მე მარტო ტანჯვა წვალება! ამბობს მოხუცი დე-სილვა.

5 აქტი. ღამეა ეს ის ღამეა, როცა ერნანი და დონა-სოლ სტკბებიან სიყვარულით. ეს ის ღამეა, როცა ერნანი ბულბულივით ყეფს თავის სიყვარულს, თავის სიხარულს იმედს მომავალს... მაგრამ აგერ გაისმის ბუკის საზარო ხმა! ეს გახლავს მოხუცი დე სილვა. იგი მოსდგომია კარებს და ითხოვს ერნანისაგან პირობის აღსრულებას—სიკვდილს. ერნანი თავის სიტყვას არ უღალატებს, მეტი რა ღონეა უნდა მოკვდეს! იგი აიღებს საწამლავს, დალევს და თავის საყვარელს დონასოლსაც დაალევინებს. ორივე კვდება. ჩემი სიცოცხლე რაღა იქნებაო ამბობს მოხუცი ჰერცოგი დე სილვა და ისიც თავს მოიკლავს.

ასეთია ეს ახირებული პიესა, რომელშიაც თავ განწირული გმირობა ავტორს დავ-დავიწყებამდე მიუყვანია. უმაღლეს წერტილამდეა მიყვანილი სიტყვის თქმა და მისი აღსრულება. ყოველივე ეს რაღაც არა ჩვეულებრივია, მაგრამ სცენა სურათების გალერიაში, დონ-კარლოსის მონოლოგი, სასაფლაოზე, სასიყვარულო სცენა მეხუთე აქტში და თვით პიესის ლექსთა-წყობა, ყოველივე ეს ადამიანს მსჯელობას ავიწყებს ზემოთ მოყვანილს ნაკლულევანებას და უნებლიედ წამოაძახებს: ეს პიესა სწორედ საგანგებოაო!

დიდის მადლობის ღირსია თ. ხუსკივაძე, რომ ქართველ საზოგადოებას გააცნო ასეთი კლასიკური თხუზულება. ჩვენ ქართული თარგმანი არ გვქონია ხელში და სამწუხაროდ, თარგმანის ღირსების დაფასება არ შეგვიძლია.

მადლობის ღირსია აგრეთვე ალექსი მესხიშვილი, რომელსაც არავითარი ენერგია არ დაუკლია პიესისათვის, რომ სცენიური მხარე კარგათ გამოსულიყო და მართლაც ასე მშვენიერ დეკორაციებით და სხვა სამკაულობით ჯერ ქუთაისში პიესა არ დადგმულა. საუბედუროთ თვით პიესა კი სუსტად იყო მომზადებული. „ანსამბლი“ ძრიელ კოჭლობდა, ასე რომ მეოთხე აქტი, სცენა კარლომანის საფლავთან, დიახ ეს დიდებული სცენა მთლად ჩაფუშდა.

მგონია არ შევსცდე, რომ ვსთქვა, მთელი საზოგადოების სიმპატია ამ საღამოს ბ-ნ კოტე ყიფიანმა დაიმსახურა ბ-ნმა ყიფიანმა (დესილვამ) ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ მას გემოვნებით ჩაცმაში, სახის გამომეტყველებაში, და მიხვრა-მოხვრაში ქართველთა შორის, ბადალი არა ჰყავს. განსაკუთრებით ჩინებულად ჩაატარა სცენა მამა-პაპის სურათებთან. იმისმა სახემ ნათლათ გამოხატა, იმის სულის მდგომარეობა, როცა ის ყოყმანობს და ვერ გადუწყვეტია მისცეს თუ არა ერნანი მეფეს. აქ ის შეუდარებელი იყო, მხოლოდ არ შემიძლია ერთი ძმური რჩევა არ მივცე ამ ჩვენს უხუცესს არტისტს და იმედი მაქვს კადნიერებად არ ჩამომართმევს. ჩვენ ვსთხოვთ ბ-ნს ყიფიანს ცრუ-კლასიკურ კილოს ერიდოს. ეგ კლასიკური დეკლამაცია ეხლა თავისს სამშობლოშიაც (საფრანგეთში) «მოდიდამ» გამოდის და ესეც რომ არ იყოს, ვერც მსმენლის ყურს ატკბობს როგორც რიგია.

ერნანი, ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი. აქ მინდა ხალხური ანდაზით თავი გავიმხნევო: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს-კი ზურგს უკანო». მგონი თითონაც დაეთანხმება, ჩვენი საყვარელი არტისტი, რომ ამ საღამოს ვერ იყო იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეშხში მოსული და არ ვიცი რატომ? შეიძლება მის ბუნებით ნიჭს ნაზი, დამატკბობელი სცენები უფრო ეხერხებოდეს ვიდრე საგმირო, როგორც მაგალითად თავ გასულის ყაჩაღის როლია? არ ვიცი, ამის გადაწყვეტა მე არ შემიძლია, მაგრამ ამას კი მოგახსენებთ, რომ მეხუთე აქტში, სადაც იგი სიყვარულსა და ვნებათა ღელვის მორევში ტრიალებს, აქ კი შეუდარებელი იყო. დიახ ვერ იყო მეთქი, მოგახსენეთ, თავის ეშხში, მაგრამ ერთმა პატარა სცენამ მესამე მოქმედებაში ყველაფერი გამოიყიდა. უნდა გენახათ ბ-ნი მესხიშვილი იმ დროს, როდესაც მას დე-სილვა ეუბნება: დონა-სილი მეფემ წაიყვანაო! მთელი თვის ბოლმა-ვარამი, ტანჯვა-მწუხარება იმის სახეზედ გამოიხატება და გამხეცებული მივარდება დე-სილვას: განა, არ იცი, სულელო მოხუცო, რომ მეფეს უყვარს იგიო! პირველი აქტიდამ დაწყებული—მეხუთემდე მესხიშვილს წარმოდგენაში ამ წუთისთანა არა ყოფილა-რა. ეს სცენა ისე მძლავრად იყო გამოხატული, რომ მაყურებელს ეხლაც თვალ-წინ უდგას.

კერძოდ, საუცხოვო იყო პატარა ქოლიკეს როლში ქ. საფაროვ-აბაშიძისა, რომელიც პირველად გამოვიდა ამ საღამოს წრევანდელ სეზონში და ჩვეულებრივად მოჰხიბლა მთელი საზოგადოება თავისის შესანიშნავის ნიჭით და საოცარის ხელოვნებით.

სიცილით დახოცა საზოგადოება ვ. აბაშიძემ პიერ შოპარის როლში, რომელიც ნამდვილ ვირ-ეშმაკად გამოიყვანა და რომელსაც ისე ეადვილება სიკვდილი, როგორც ყოველივე სისაძაგლის ჩადენა...

გ. გედევანოვმა ნათლად გვიჩვენა გაშალაშინებული ავაზაკი, რომელსაც ერთისა და იმავე ხელოვნებით „ცილინდრიც“ უჭირავს ხელში მაღალ საზოგადოების დარბაზებში და მომაკვდინებელი დამბაჩაც დიდ შარა გზაზე ბნელს ღამეებში...

კ. მესხმა დიდის გრძნობით წარმოგვიდგინა უბედურ შემთხვევის ბრჭყალებში ჩავარდნილი მსხვერპლი ლეზურკი და თავისის თამაშობით ბევრს მოჰგვარა თვალებზე ცრემლი. ხოლო მეორე როლი—ლეზურკის ტყუპი დიუბოსკი—ისე რიხიანად ვერ წარმოადგინა მხოლოდ იმიტომ, რომ სუფლიორისათვის ჰქონდა მიქცეული უმთავრესი ყურადღება და არა თამაშობისათვის... ეგ ნაკლი ამ საღამოს, სამწუხაროდ, ყველას ეტყობოდა...

შეგნებით და ჯეროვანის სიდინჯით თამაშობდა გ. კანდელაკი მსაჯულ დობენტონის როლს და მთელ საღამოს შესაფერ კილოსათვის არ აუქცევია.

ვ. გამყრელიძე მოხუც და პატიოსან ლეზურკის როლში ჩვენ ძლიერ მოგვეწონა. მის თამაშობას დაკვირვებაც ეტყობოდა და «როლით გამჭვალვაც». მესამე მოქმედებაში სცენა შვილთან უფრო მეტს გრძნობათა მოძრაობას ეგრედ წოდებულ «ექსპრესიას», თხოულობდა, ვიდრე არტისტმა გვიჩვენა.

კარგი იყო ახალგაზდა და თავგანწირულ ყმაწვილის როლში კ. შათირიშვილი; კოხტად და თავისუფლად ეჭირა თავი სცენაზე, მაგრამ ერთს რასმე ვუსაყვედურებთ: მსახიობი ყოველთვის მარტო თავის თავს როდი უნდა აჩვენებდეს მაყურებელთ, არამედ სხვა-და-სხვა მომქმედ პირს, ხოლო ამისათვის საჭიროა, რა თქმა უნდა, გარდა ხელოვნურის თამაშობისა, სხვა-და-სხვა გრიმის გაკეთება. სახის ერთგვარობა, თუნდაც ძალიან ლამაზის, სცენაზე შეუწყნარებელია. მსახიობი როლების შესაფერად თმასაც სხვა ნაირად უნდა ივარცხნიდეს, თუ პარიკი ეთაკილება; ულვაშებიც ამგვარადვე უნდა გამოიცვალოს, სახის ფერიცა და სხვა. კ. შათირიშვილი-კი ამას ყურადღებას არ აქცევს... გვჯერა, რომ სახის გათუთხვნა მაპეზარია, მაგრამ არც უამისობა იქნება!..

კარგები იყვნენ თავიანთ პატარა როლებში ბ-ნნი მჭედლიშვილი, კარბელი და საფაროვი, რომ უკანასკნელს დასასრულს სცენაზე არ გაეცინებინა მაყურებლები. მსახიობმა ყოველთვის სცენის მდგომარეობას უნდა შეუფეროს ხმა და კილო ლაპარაკისა.

ვუსაყვედურებთ რეჟისორს, რომ აბრამოვს ნება მისცა სცენაზე უგრიმოდ გამოსულიყო. მსახიობის და ისიც «მიკროსკოპიულს» უგრიმოდ ტლინკვა სცენაზე მომაკვდინებელ ცოდოდ ჩაეთვლება რეჟისორს. საზოგადოდ შევნიშნავთ ბ-ნ რეჟისორს, რომ ამ საგანს დაუკვირდეს და დაუყონებლივ და სასტიკი ზომები მიიღოს მსახიობთა დაუდევრობის წინააღმდეგ, სცენის მოწყობა, ჩაცმა-დახურვა, გრიმი, დროზედ გასვლა-გამოსვლა და სხვა ეს ხომ ყველასათვის საან-ბანო მოვალეობაა!

დასასრულ ორიოდე სიტყვა ახალგაზდა მოთამაშეებზე. ჩვენ ისე არაფერი გვახარებს ქართულ სცენაზე, როგორც ახალგაზდა მოთამაშეთა წარმატება და დაწინაურება.

ქ-ნი კარგარეთელს ყოველ წარმოდგენაზე ღირსება ემატება და ნაკლს კი მძიმედ ისწორებს. ჟანნას როლი კარგად შეასრულა და კარგადაც იცოდა იგი, მაგრამ აქაც ვერ აიცილა ჩვეული ნაკლულევანობა: ჭარბად ხელების მოძრაობა და აჩქარებული, აფუსფუსებული მიმოხვრა. მოძრაობა და მიმოხვრა სცენაზე სიცხოველეს მაშინ ნიშნავს, როცა იგი სიტყვების შესაფერია. მიმოხვრა და მოძრაობა სიტყვებს კი არ უნდა უსწრობდეს წინ, როგორც ჩვენს ახალ-გაზდა მოთამაშეს მოსდის ხოლმე, არამედ სიტყვებს უნდა მოსდევდეს და ასურათებდეს მათ. კარგად დაუკვირდეს ქ-ნი კარგარეთელი ჩვენს შენიშვნას და თითონაც მოიწადინოს ნაკლის გასწორება.. მერე ნეტავ, ძნელი მაინც იყოს ასეთი მეხანიკურის ნაკლის გასწორება სრულებით საკმარისია შეგნება ნაკლისა და მერე ცოტაოდენი შრომა—ერთის კვირის ვარჯიში.

ქ-ნ გარელს ამ საღამოს სავსებით ვერ დაუძლევია თავისი როლი. ის, რითაც მოგვწონდა ჩვენ ახალგაზდა მოთამაშე, ესე იგი, კილოს სისწორით,—ამ საღამოს არ უვარგოდა. ხმაში ერთგვარობა ეტყობოდა, ლაპარაკის კილო არ გამოეცვალა შესაფერად, როცა საყვარელ კაცს ესაუბრებოდა, ძვირფასს მამას, მოხუცებულ პაპას და საბრალო ჟანნას თუ გულ კეთილ დობენტონს.. თავისი სხვა და სხვა სულიერი მდგომარეობაც: შიში, სასოწარკვეთილობა, სიხარული, იმედი, უნუგეშობა და სხვა ერთს ჰანგზე ჰქონდა მომართული.

აქტორის ხელოვნება უწინარეს ყოვლისა სიტყვებისა და გრძნობის გამომეტყველებაშია. მხოლოდ ხმით, ამ უძლიერესი მუსიკით, რომლითაც მოქმედებს მსახიობი მსმენელებზე, შეიძლება იმ მრავალ გრძნობათა გაზიარება, რომელიც იმალება უბრალო ბეჭდურ თუ ნაწერ როლის სიტყვებში.. ის ერთი სიტყვა—„მამავ!“, რომლის წარმოთქმა რამდენჯერმე მოუხდა ამ საღამოს ქ-ნ გარელს,—შეეძლო მრავალ მნიშვნელობით წარმოეთქვა მოთამაშეს, და მრავალ მნიშვნელოვან ზედგავლენას იქონიებდა მსმენელზე მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან როლი მხოლოდ დაუზეპირებია და კი ვერ შეუგნია, ვერ გამსჭვალულა შესაფერის გრძნობით, ვერ ჩაუხედნია სიტყვების გულღვიძლში, ვერ გაუთვალისწინებია გონებით... აგრე რომ არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენი ახალგაზდა მოთამაშე ოლონდაც რომ კარგად შეასრულებდა თავის პატარა მაგრამ კარგს როლს. განუმეორებთ ჩვენს წინანდელს რჩევას: მომეტებული დაკვირვება და შესისხლხორცება როლისა რეჟისორის ხელმძღვანელობით.

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია ხუთშაბათს თეატრის სუფლიორის საბენეფისოდ.

ტასიაშვილი.

* * *

ქ-ნ ჩხეიძისას (დონა-სოლ) აშკარად ეტყობოდა, რომ ბევრი უშრომნია, უმეცადნია, რომ როლი ყოველ-მხრით შეესწავლა, მაგრამ რა უნდა გვეწყო საბრალოს უხელმძღვანელოდ, როცა ეგ როლი მისი ძალ-ღონისა არ არის. ცოდო კია, ღვთის წინაშე, როცა ადამიანს რაც არ შეუძლიან იმას აკისრებინებთ. თუ მაინცა და მაინც შეუძლებელი გინდათ შეაძლებინოთ, თქვენს ხელმძღვანელობას მაინც ნუ მოაკლებთ, თქვე დალოცვილო! აქ არ შეგვიძლია არ ვუსაყვედუროთ ბატონს რეჟისსორს. ჩვენ ვურჩევთ ქ-ნ ჩხეიძესას, ხშირად ტირილს და ქვითინს ერიდოს. ერთი შენიშვნა კიდევ და გავათავოთ. მეოთხე აქტში, როცა დონ-კარლოსს იმპერატორად ამოირჩევენ, შემოდის ამალა, ხალხი და გვირგვინს მოართმევენ. ასეთი სცენა ან ბრწყინვალეთ, დიადათ უნდა მორთოთ, რომ ნამდვილი ილიუზია გამოიწვიოს, ანა-და სრულიად უნდა გამოაკლოთ, თორემ რასა გავს, შემოდის ორი თუ სამი კაცი და ახალ-წლის ბასილასავით შემოაქვთ ლანგრით გვირგვინი—Курамъ на смѣхъ.

ნიკო ბადრიძე.

* * *

სხვა-და-სხვა ამბავი

—

რეკლამა სასაფლაოებზე. რეკლამებმა სასაფლაოზედაც იჩინა თავი: ნიუ-იორკის სასაფლაოზე ერთს საფლავის ქვაზე შემდეგი წარწერაა: „აქ განისვენებს გვამი სერ ჯონსმიტისა; მან თავი მოიკლა საუცხოვო ჯურის კოტტის სისტემის დამბაჩითა, რომელიც საუკეთესო იარაღია მათთვის, ვინც თავისის ნებით საიქიოსაკენ გასეირნებას მოინდომებს“ მეორე საფლავის ქვაზე კიდევ უფრო ახირებული წარწერაა: „აქ მალე განისვენებს ჯემს ბოლტონის გვამი, რომელიც ამ ჟამად მეთაურობს ტყავების საუკეთესო ქარხანას, მეთხუთმეტე ხეივანში, სახლი № 57“.

პენსილვანში ერთის სასაფლაოს ალაყაფის კარებზე წითლად დიდის ასოებით სწერია: „თუ არა გნებავთ ამ ზღუდეთა შორის განისვენოთ, დაემალეთ ჯონსის ლუდს“.

* * *

საფქვავი
წისქვილები
მზადდება ინჟენერთა იარალოვის და ალიხანოვის ქარხანაში
МУКОМОЛЬНЫЯ
МЕЛЬНИЦЫ паровыя, водяныя, конноприводныя
изготовляетъ какъ спеціяльность
машино-строительный заводъ инженеровъ
Яралова и Алиханова
въ Тифлисѣ, (6—6)
Александровская улица, собств. домъ

ПОСТУПИЛО ВЪ ПРОДАЖУ
новое роскошное изданіе Ѳ. И. Булгакова:
Новѣйшіе шедевры красоты
40 фотогравюръ in-folio
съ наилучшихъ картинъ знаменитѣйшихъ художниковъ женской красоты изъ картинныхъ галлерей Европы и Америки, общественныхъ и частныхъ.

Съ пояснительнымъ описаніемъ картинъ и біографіями ихъ авторовъ: Баллавуана, Барріаса, Бегаса, Бугеро, ванъ-денъ-Боса, Грэфа, Дантана, Дасьюга, Делли, Дюбюфа, Дюфо, Жамена, Книлле, Крауса, Лекэна, Лефебвра, Лоранса, Ганса Маккарта, Ноппенбруха, Перрэ, Перро, Поинтера, Генріетты Раэ, Ребуэ, Ройера, Рошгросса, Селье, Семирадскаго, Серреса, Соломона Тюло, Фалеро, Фламенга.

Въ восьми выпускахъ. Цѣна 20 р., въ изящной коленкоровой папкѣ съ золотымъ тисненіемъ 22 р. 50 к., съ пересылкой 25 р.

Допускается разсрочка: при подпискѣ 2 р. и при полученіи каждаго выпуска по 2 р. Съ наложеннымъ платежемъ не высылается.

Адресоваться къ Ѳ. И. Булгакову. (Спб, Конногвардейскій бульваръ, 13). Отдѣльно папка 2 р. 50 к., съ пер. 3 р.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
Подписной годъ съ 1-го октября 1897 г. по 1-е октября 1898 г.
на
ежемѣсячный научно-литературный и политическій журналъ
НОВОЕ СЛОВО
Выходитъ ежемѣсячно отъ 25 до 30 печатныхъ листовъ.

Редакція **«Новаго Слова»**, кромѣ общихъ задачъ научно-литературнаго журнала, ставитъ себѣ цѣлью освѣщеніе явленій жизни Россіи и сопоставленіе ея съ условіями и фактами жизни иностранной. Въ виду этого помимо постоянныхъ отдѣловъ („Текущіе вопросы внутренней жизни“, „Факты и цифры изъ русской дѣйствительности“, „Изъ жизни провинціи“ и „Иностранное обозрѣніе“) въ журналѣ помѣщаются еще **«Письма изъ провинціи» и Письма изъ-за границы»**.

Будучи свободной отъ мѣстныхъ вліяній и воздѣйствій и придавая серьезное значеніе освѣщенію различныхъ явленій провинціальной жизни, редакція «Новаго Слова» проситъ лицъ, сочувствующихъ цѣлямъ журнала, оказать ей содѣйствіе въ развитіи провинціальнаго отдѣла какъ **доставкою фактическаго матеріала**, такъ и **присылкою корреспонденціи**.

Редакція стремится давать **въ библіографическомъ отдѣлѣ** своевременные отзывы о вѣхъ выдающихся произведеніяхъ нашей литературы, и поэтому обращаетсяссъ просьбой къ издателямъ о присылкѣ вновь выходящихъ изданій.

При но вомъ составѣ редакціи въ журналѣ принимаютъ участіе слѣдующія лица:

К. С. Баранцевичъ, проф. И. И. Боргманъ, С. Н. Булгаковъ, В. П. Быстренинъ, Ю. Н. Вагнеръ, В. Вересаевъ, проф. П. Г. Виноградовъ, В. В. Водовозовъ, Н. Гаринъ (Н. Г. Михайловскій), М. О. Гершензонъ, М. Горькій (А. М. Пѣшковъ), И. А. Гурвичъ, К. Ельцова, А. М. Калмыкова, Л. Ф. Кржпвицкій, проф. П. Ф. Лесгафтъ, Г. А. Мачтетъ, проф. П. Н. Милюковъ, В. Г. Михайловскій, Вл. И. Немировичъ-Данченко, проф. Д. Н. Овсянико-Куликовскій, А. В. Погожевъ, В. А. Поссе, И. Н. Потапенко, Д. Д. Протопоповъ, В. Я. Свѣтловъ, М. Н. Семеновъ, П. Б. Струве, В. Л. Сѣрошевскій, М. И. Туганъ-Барановскій, В. А. Фаусекъ, Максъ Ферворнъ (проф. Іенскаго унив.), проф. Н. А. Холодковскій, Е. Н. Чириковъ, Т. Цигенъ (Th. Ziehen, проф. Іенскаго унив.), А. С. Шабельская, О. А. Шапиръ, Ф. Ф. Эрисманъ, А. И. Эртель, В. Я. Яковлевъ и др.

Подписной годъ съ 1-го октября.
Подписная цѣна съ пересылкой на годъ . . 10 р. — к.
„ „ „ „ на полгода . . 5 „ — „
„ „ „ „ на три мѣсяца . . 2 „ 50 „
„ „ безъ пересылки на годъ . . 9 „ — „
„ „ съ перес. за границу на годъ . . 12 „ — „

Адресъ **конторы редакціи**: Спб. Спасская ул. (уг. Надеждинской), д. 15, кв. I.

Отдѣленія конторы: Въ С.-петербургѣ—1) Невскій пр., д. 54, **«Библіотека Черкесова»**, 2] Книжный складъ А. М. Калмыковой, Литейный пр. № 60. Въ Москвѣ: книжный магазинъ «Трудъ», Тверская, д. Спиридонова.

Книжные магазины, при полной годовой подписной платѣ, пользуются уступкой 40 к. съ экземпляра. Подписка по частямъ года допускается только черезъ контору редакціи и ея отдѣленія.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 27 Октября 1897 г.
სტამბა ქ. ი. ხელაძისა, დორის-მელიქოვის ქ., № 28.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია